ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-05/106

ქ. ბათუმი

19/08/2014 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი" (იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება, ს/კ 245645235 - შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ცენტრის უფროსის რამაზ სურმანიძის სახით

და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ნოდარ შაინიძე (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.№48, პ/ნ 61001041207, შემდგომში „მიმწოდებელი")

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს მილგაყვანილობის მონტაჟის მომსახურება (დანაყოფის კოდი - 45300000), შემდეგში „შესყიდვის ობიექტი/მომსახურება", ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების შესაბამისად.

1.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქალაქი ბათუმი, დასახლება ქვედა სამება, სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი.

1.3. მომსახურების გაწევის ვადა: 2014 წლის 25 აგვისტომდე.

2. სახელშეკრულებო თანხა, ანგარიშსწორების წესი

2.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 350 ლარს.

2.2. სახელშეკრულებო თანხა ითვალისწინებს როგორც მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

2.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები (შემსყიდველის მხრიდან - მთავარი სპეციალისტი სამეურნეო დარგში - თენგიზ ბერიძე) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების შესაბამისად.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა 05 დღის ვადაში მიმწოდებლის ხარჯით.

3.4. თუ მიმწოდებელი არ აღმოფხვრის ხარვეზს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

4.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

4.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

5.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

5.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ვალდებულების შესრულებისათვის.

6.3. ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 ოქტომბრამდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

9. სხვა პირობები

9.1. ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

10. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ - „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“	ფიზიკური პირი ნოდარ შაინიძე
ს/კ 245645235	პ/ნ 61001041207
ელ. ფოსტა: Samebalab@gmail.com	
მის: ქ. ბათუმი, დასახლება ქვედა სამება	მის: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.№48
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი - UGEBGE22	ბანკის კოდი - UGEBGE22
ა/ა GE16VT5500000000593608	ა/ა GE67 VT10 0000 0224 4345 06 GEL
ცენტრის უფროსი: რამაზ სურმანიძე ----------	ფიზიკური პირი ნოდარ შაინიძე ----------